

სამეზობლოს მნიშვნელობა, პრაქტიკა და - ტრანსფორმაცია პოსტ-საბჭოთა
თბილისში - ორი შემთხვევის ანალიზი

მარიამ ხუნდაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ხუნდაძე

10.07.2020

აბსტრაქტი

სამეზობლო ურთიერთობები ურბანულ სოციოლოგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევის საგანია. ურბანიზაციასთან ერთად, სოციალურმა კავშირებმა ტრანფორმაცია განიცადა. თანამედროვე ქალაქმა ახალი სოციალური კავშირებისა და ურთიერთობების წარმოქმნას შეუწყო ხელი.

წინამდებარე კვლევის მიზანია, თბილისის ორი უბნის მაგალითზე შეისწავლოს სამეზობლო, როგორც სოციალური ურთიერთობების ფორმა და აღწეროს, თუ რა თავისებურებები ახასიათებს მას და რა ცვლილებებს განიცდის სოციალური და კულტურული ტრანფორმაციის ფონზე. აგრეთვე, კვლევის მიზანია, გაანალიზოს თუ რა ფუნქცია აქვს სამეზობლო ურთიერთობებს მისი თითოეული წევრისათვის.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. სიღრმისეული ინტერვიუებისა და ჩართული დაკვირვების საშუალებით შევისწავლეთ, სამეზობლო ურთიერთობების რა ფორმები და პრაქტიკები არსებობს თანამედროვე საზოგადოებაში და როგორი დამოკიდებულება აქვთ მაცხოვრებლებს მათი სამეზობლოსა და ზოგადად, სამეზობლო ურთიერთობების მიმართ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამეზობლო ურთიერთობები კვლავაც ინარჩუნებს თავის სახეს, რასაც ადასტურებს 36-ე კორპუსსა და ველისციხის ქუჩის მაცხოვრებლებს შორის არსებული სამეზობლო ურთიერთობები. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ სამეზობლო ურთიერთობებიდან წარმოიშვა სოციალური კავშირების სხვა ფორმებიც, კერძოდ, მეზობლების ერთმანეთთან დანათესავება. 36-ე კორპუსის სამეზობლოში გამოიკვეთა სხვადასხვა სამეზობლო ტრადიცია: ოჯახის დასახმარებლად თანხის აგროვება, დაბადების დღეების აღნიშვნა, დღესასწაულებზე შეკრება და სარიტუალო მოქმედებების ერთობლივად განხორციელება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქალაქი, სამეზობლო, ურბანიზაცია, ურბანული ჯგუფები, პოსტ-საბჭოთა ქალაქი

abstract

Neighborhood relations are the subject of one of the most important studies in urban sociology. Along with urbanization, social connections have undergone a transformation. The modern city has contributed to the emergence of new social ties and relations.

The aim of the present study is to study the neighborhood as a form of social relations on the example of two districts of Tbilisi and to describe what features characterize it and what changes it undergoes in the light of social and cultural transformation. The aim of the study is also to analyze the function of neighborhood relations for each of its members.

The study was conducted using a qualitative method. Through in-depth interviews and in-depth observations, we explored what forms and practices of neighborhood relationships exist in modern society, and what attitudes residents have toward their neighborhood and neighborhood relationships in general.

The survey revealed that the neighborhood relationship still retains its look, as evidenced by the neighborhood relationship between the 36th block and the residents of Velistsikhe Street. The study also found that other forms of social ties, in particular, related to each other, arose from neighborhood relationships. Various neighborhood traditions have emerged in the neighborhood of Building 36: raising money to help the family, celebrating birthdays, gathering for the holidays, and performing rituals together.

Key words: City, Neighbourhood, Urbanization, Urban Groups, Post-Soviet City

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, სოფო ზვიადაძეს, რომელიც ნაშრომის სრულყოფისათვის მიზიარებდა სამეცნიერო წყაროებს და კრიტიკულად უდგებოდა კვლევის თითოეულ ნაწილს. მისი დახმარების გარეშე ვერ შევძლებდი საკვლევი თემის შერჩევასა და სამეზობლო ურთიერთობების ურბანული სოციოლოგიის პერსპექტივიდან დანახვას.

ასევე, მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს მეგობრებს მხარში დგომისთვის და გამხნევებისთვის. დიდ მადლობას ვუხდი ჩემს რესპონდენტებსა და მეზობლებს, რომლებიც დამთანხმდნენ ინტერვიუზე და სიამოვნებით მიიღეს კვლევაში მონაწილეობა.